კინოცენტრი „აფხაზეთი“ 10 წლისაა

2 დეკემბერს, კინოცენტრ “აფხაზეთს” 10 წელი უსრულდება. ამასთან დაკავშირებით, დაგეგმილია არა-ერთი ღონისძიება, მათ შორის, კინოცენტრის საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალის გაცნობა, ანიმაციური ფილმების ჩვენება, ხელის ჩრდილების თეატრის წარმოდგენა და გელა კანდელაკის ფილმის “სოფელი” ჩვენება. აღსანიშნავია, რომ ფილმმა საფრანგეთში, სორეზის ფესტივალზე გრანპრი მოიპოვა.

ღონისძიებებზე დასწრება თავისუფალია!

კინოცენტრის შესახებ

კინოცენტრი **"აფხაზეთი"** 2005 წელს დაარსდა და აფხაზეთიდან, ასევე, ცხინვალიდან დევნილებით დაკომპლექტდა. **"აფხაზეთის"** შემადგენლობაში ამჟამად შედის ხელის ჩრდილების თეატრი **„ბუდრუგანა გაგრა“**, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია **„კვალი XXI“** და კინოსტუდია **„კვალი.“**

კინოცენტრი **„აფხაზეთი,“** საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალ **"ნიქოზის"** ერთ-ერთი დამფუძნებელი და ორგანიზატორი, ასევე **„თბილისი - 2015 თანამედროვე მუსიკის საღამოების“** მუდმივი პარტნიორია.

ღონისძიებების განრიგი

კინოცენტრი **„აფხაზეთი“** საზოგადოების წინაშე 10 წლიანი შრომის სრული ანგარიშით წარდგება:

- **2 დეკემბერი, ოთხშაბათი, 18:00 სთ.** თსუ-ს I კორპუსის სააქტო დარბაზი - კინოცენტრ **„აფხაზეთის“** საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალის გაცნობა. ანიმაციური ფილმების ჩვენება - **„პატარა მაწანწალა“(„ნიქოზი“) „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ (კინოცენტრი „აფხაზეთი“)**, სულხან ცინცაძის სიმებიანი კვარტეტის კომპოზიცია **„სულიკო,“** ხელის ჩრდილების თეატრ **„ბუდრუგანა გაგრას“** სპექტაკლი **„ცა ლაჟვარდი“** (ნაწყვეტი) (დასწრება თავისუფალია)
- **11 დეკემბერი, პარასკევი** 19:30 სთ. - ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრი - **„თბილისი - 2015 თანამედროვე მუსიკის საღამოების“** ფარგლებში ხელის ჩრდილების თეატრი **„ბუდრუგანა გაგრა“** წარადგენს პერფორმანსს - **„უპატრონო ურო“**
- **12 დეკემბერი, შაბათი, 19:00** სთ. - რუსთაველის თეატრის მცირე სცენა - ხელის ჩრდილების თეატრ **„ბუდრუგანა გაგრას“** სპექტაკლი **„რა საოცარი დღეა“**
- **22 დეკემბერი, სამშაბათი, 18:00 სთ.** თსუ-ს I კორპუსის სააქტო დარბაზი - ნაჩვენები იქნება კინოცენტრ **„აფხაზეთის“** მიერ დაფინანსებული ფილმის **“ხმელეთის 0,047%”** პირველი ნაწილის ჩვენება სახელწოდებით “სოფელი.” ფილმის რეჟისორია გელა კანდელაკი. აღსანიშნავია, რომ ფილმმა **სორეზის კინოფესტივალზე** გრანპრი მოიპოვა (2010 წ.). ღონისძიებას სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მოწვეული სტუმრებიც დაესწრებიან. (დასწრება თავისუფალია)

კინოცენტრ **"აფხაზეთის"** სამხატვრო ხელმძღვანელი - გელა კანდელაკი

პატივისცემით,
*კინოცენტრი **„აფხაზეთი“***
საკონტაქტო პირი: გიორგი ლიპარიშვილი
კინოცენტრ **„აფხაზეთის“** საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ტელ: ***595 85 00 90***
web: kvalixxi@gmail.com